ფეხბურთი

გუშინ, 23 აგვისტოს, მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ლოკომოტივისა” და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 0:0. მატჩის მეორე ნახევარში ანგარიში გახსნეს თბილისელებმა. 33-ე წუთზე რკინიგზელმა ფეხბურთელებმა შესძლეს ანგარიშის გათანაბრება. დარჩენილ მცირე დროში თბილისელმა ფეხბურთელებმა გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კართან. თამაშის ბოლო წუთებში მათ ერთი ბურთი კიდევ გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა თბილისის ”დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

“კომუნისტი”, 24 აგვისტო 1950 წ.